აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში

2024 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის მიერ

2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

კომიტეტის შემადგენლობა:

კომიტეტის თავმჯდომარე - **ცოტნე ანანიძე**

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **- გია აბულაძე**

კომიტეტის წევრები:

ირაკლი ჭეიშვილი

ფატი ხალვაში

გიორგი მანველიძე

კომიტეტის აპარატის თანამშრომლები

კომიტეტის აპარატის უფროსი - ბაკურ ბოლქვაძე

კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე - მადონა ლომინაძე

უფროსი სპეციალისტი - ეკატერინე ბერიძე

უფროსი სპეციალისტი - ირაკლი აბაშიძე

უფროსი სპეციალისტი - თამაზ ქობულაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დემოკრატიული და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობას და ადამიანის უფლებების დაცვას, როგორც საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, ისე ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის გზით. დასახული მიზნების განსახორციელებლად კომიტეტი მონაწილეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარსადგენი კანონპროექტების ან/და სხვა აქტების პროექტების განხილვასა და გადამუშავებაში, ამზადებს დასკვნებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სხვა საერთაშორისო

აქტების, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, სხვა საკანონმდებლო აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის დებულების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის დებულების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომიტეტის სხდომები უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ განსაზღვრულ საკითხებზე, მომზადდა დასკვნები, ასევე კომიტეტში ხორციელდებოდა მოქალაქეთა მიღება და წარმოებდა შემოსული კორესპონდენციის განხილვა/რეაგირება. ანგარიშში ასევე ასახულია კომიტეტის თავმჯდომარისა და ცალკეული წევრების მიერ განხორციელებული ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

საკანონმდებლო საქმიანობა

პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომიტეტისა და მისი წევრების აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობა. ამ მიზნების უზრუნველსაყოფად კომიტეტი შეიმუშავებს, განიხილავს და უმაღლეს საბჭოს პლენარული სხდომისათვის ამზადებს საკანონმდებლო ინიციატივებს. თუმცა, კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა დამატებით გაძლიერებას საჭიროებს. შესაბამისად, კომიტეტი ხშირად აწყობს შეხვედრებს საზოგადოების დაინტერესებულ წევრებთან, მართავს დისკუსიას სხვადასხვა პრობლემურ თემაზე და ძალისხმევას მიმართავს პრობლემური საკითხების საკანონმდებლო გზით გადაწყვეტისაკენ. ამასთანავე კომიტეტის ხედვა და პრიორიტეტები კანონშემოქმედებითი საქმიანობის კუთხით საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის - 5 სხდომა, მათ შორის: ორი სხდომა ინდივიდუალურად, ხოლო სამი სხდომა გაიმართა ერთობლივი (ერთი სხდომა საკონსტიტუციო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომიტეტთან ერთად, ხოლო ორი სხდომა გაიმართა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომიტეტთან ერთად)

კომიტეტის ხუთ სხდომაზე განხილული იქნა - 9 საკითხი და მომზადებულ იქნა შესაბამისი დასკვნები.

მათ შორის განხილულ იქნა:

- **ოთხი კანონის პროექტი;**

- **კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა;**
- **მოსმენილ იქნა კომიტეტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში;**
- **პერიოდულად მოსმენილი და ცნობად იქნა მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური და კვარტალური შესრულების ანგარიშები.**

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტში საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშის გაცნობა;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში;
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მიმოხილვა;
7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024-2027 წლების პრიორიტეტები;
8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა;
9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომიტეტმა 2023 წლის შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში შემდეგი სტრატეგიული მიზნები დაისახა:

ა) კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაძლიერება;

ბ)კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება;

გ) საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია, საჯაროობა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;

დ) კომიტეტის ინსტიტუციური გაძლიერება.

კომიტეტი უმაღლესი საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების ასამაღლებლად უზრუნველყოფს ზედამხედველობის ეფექტიან სისტემას, რისთვისაც აქტიურად გამოიყენებს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ ინსტრუმენტებს. მთავრობის საქმიანობაზე კომიტეტის სხვა მაკონტროლებელ ბერკეტებთან ერთად, კომიტეტი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რეგულარულად მოისმენს მთავრობის წევრებისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების ხელმძღვანელებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის ანგარიშებს. კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობენ კანონით მინიჭებული ადამიანის უფლებების დაცვასა და რეალიზაციას. კომიტეტი ასევე უზრუნველყოფს კანონის აღსრულებაზე მონიტორინგის განხორციელებას ამ სფეროში.

მოქალაქეთა მიღება

კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულებაა მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია, რითაც კომიტეტი ეცნობა მათ პრობლემებს, საჭიროებებს და ახდენს მათზე შესაბამის რეაგირებას. შეხვედრები იმართება უმაღლეს საბჭოში, მუნიციპალიტეტის სამაჟორიტარო ბიუროში, ასევე საჭიროების შემთხვევაში ვითარების სრულყოფილად შესასწავლად მოქალაქესთან ადგილზე გასვლითაც. საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და აპარატის თანამშრომლები უმაღლეს საბჭოში მოქალაქეთა მიღების ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში შეხვდნენ **102** მოქალაქეს. მოქალაქეებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს კომიტეტის თავმჯდომარე აწარმოებდა ადმინისტრაციული შენობის გარეთაც და ჰქონდა ასევე სატელეფონო კონსულტაციები.

მოქალაქეთა მიღების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრები უკავშირდებოდა სხვადასხვა თემატიკას და მიზნად ისახავდა მოქალაქეთა წინაშე არსებული საკითხების გაცნობა/გადაწყვეტას, კონსულტაციის გაწევას, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წინაშე შუამდგომლობის აღძვრას, სრულყოფილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შეგროვებაში მოქალაქისათვის დახმარების გაწევას.

გარდა ამისა, კომიტეტში რეგულარულად შემოდიოდა მოქალაქეთა განცხადებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა უმრავლესობა შეეხება ადამიანის უფლებების დაცვას, სოციალურ საკითხებს და სხვა. წერილების თემატიკიდან უნდა გამოიყოს მომართვიანობა მსჯავრდებულთა შეწყალებაზე შუამდგომლობასთან დაკავშირებით, ბრალდებულ/მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს წინაშე შუამდგომლობის გაწევის თაობაზე, კანონიერი უფლებების დაცვა/აღდგენას და ა.შ. კომიტეტი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და დაწესებულებებთან მჭიდრო კომუნიკაციით ახდენს შემოსულ განცხადებებზე დროულ რეაგირებას. განცხადებათა ნაწილი შეეხება სოციალურ საკითხებს: დასაქმება, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, მკურნალობის მიზნით დაფინანსების თაობაზე შუამდგომლობის გაწევა შესაბამის სამთავრობო უწყებებთან, ასევე აღსანიშნავია მოქალაქეთა მომართვები მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ ინფრასტრუქტურული საკითხების (დამეწყრილი ოჯახების გეოლოგიური კვლევა, სოციალური სახლები, გზის, სასმელი წყლის, საკანალიზაციო ქსელის და სხვ.) მოწესრიგებაზე შუამდგომლობის გაწევასთან დაკავშირებით.

კომიტეტში შემოსული ყველა განცხადება შესწავლილი და რეაგირებული იქნა დადგენილ ვადებში. განცხადებების დიდი ნაწილი რეაგირებისათვის გადაეგზავნა შესაბამის უწყებებს, საიდანაც უმეტესწილად მიღებულია პასუხები უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე, რაზეც დროულად ეცნობებათ მოქალაქეებს.

ყველა მოქალაქეს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში გაეწია შესაბამისი დახმარება.

შემოსული და გასული კორესპონდენციები

შემოსული

მოქალაქეები	
საკუთრების უფლების დაცვა/აღდგენა	2
საცხოვრებლით უზრუნველყოფა	4
სოციალური პირობები	14
კანონიერი უფლებების დაცვა	19
შუამდგომლობა შეწყალებაზე / პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე	8
სხვა	9
სულ -	56
უწყებები და ორგანიზაციები	
სპეციალური პენიტენციური სამსახური	7
პროკურატურა	1
პენიტენციური დაწესებულება	7
საქართველოს პარლამენტი	5
აჭარის ა.რ. მთავრობა	1
აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტები	3
შიდა შემოსული კორესპონდენცია	70
სხვა	15
სულ -	109
შემოსული კორესპოდენციის ჯამი	**165**

გასული

პასუხი მოქალაქეებს	57
პროკურატურას	9
პენიტენციურ დაწესებულებას	10
საქართველოს პრეზიდენტს	3
ქ. ბათუმის მუნიციპ. მერიას	5
აჭარის ა.რ. მთავრობას	7
აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტებს	6
შიდა გასული კორესპონდენცია	52
სხვა	10
გასული კორესპოდენციის ჯამი -	**159**

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის თავმჯდომარემ შუამდგომლობა გაუწია სულ - 13 მსჯავრდებულს, როგორც პრეზიდენტის წინაშე თხოვნით, ასევე ადგილობრივი საბჭოს წინაშე სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თხოვნით. მიმართვები გაიგზავნა ასევე, აჭარის პრობაციის ბიუროში, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიასთან პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ შუამდგომლობის თხოვნით.

პატიმართა უფლებები

კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების თხოვნის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ გაცემული სპეციალური ნებართვით პატიმართა პრობლემების ადგილზე გაცნობის მიზნით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არაერთხელ მოინახულა ბათუმის N3, ქუთაისის N2, გლდანის N8 და რუსთავის N17 სასჯელაღსრულების დაწესებულებები, პირადად შეხვდა და გაესაუბრა 12 მსჯავრდებულს.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თუ წინა წლებში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მინისტრის სპეციალური ბრძანებით აღჭურვილი იყო მსჯავრდებულთა მოსანახულებლად ვიზიტები განეხორციელებინა მხოლოდ N3-ე სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, დღეის მდგომარეობით ერთჯერადი ნებართვის საფუძველზე მიღებული თანხმობის შემთხვევაში უფლებამოსილია მსჯავრდებულთან ვიზიტი განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, რაც ერთგვარად ზრდის სამოქმედო არეალს.

მისი განცხადებით დაწესებულებებში არ ფიქსირდება პატიმართა მიმართ არაჰუმანური მოპყრობა, ძალადობა და სხვა მსგავსი ფაქტები. პერიოდული მონიტორინგი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში შენარჩუნდეს ადამიანის უფლებების დაცვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და სტანდარტები. მსჯავრდებულებს არ გააჩნიათ ასევე პრეტენზია საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით. პატიმართა მონახულების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში არის საქმიანი კავშირი სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ სრულიად საზოგადოება და უფლებადამცველები უნდა იყვნენ მობილიზებული, რომ პრევენცია მოხდეს, რათა სამომავლოდ არ განმეორდეს ისეთი შემთხვევები, გამოწვევები, რომელიც გვინახავს წარსულში, რაც ძალიან მძიმედ გადაიტანა საზოგადოებამ და მძიმეა ჩვენი სამართლებრივი სისტემისა და სახელმწიფოსთვის. სახელმწიფოს მიზანსაც უნდა წარმოადგენდეს ის, რომ ყველა მსჯავრდებული რესოციალიზებული დაუბრუნდეს საზოგადოებას, რათა თავისუფლად მოხდეს მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია, რასაც ემსახურება თავად სასჯელის მიზნები.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული ერთჯერადი ნებართვების საფუძველზე ინდივიდუალური შეხვედრები პატიმრებთან გაგრძელდება მომავალშიც, საქართველოს მასშტაბით არსებულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში.

ქალთა უფლებების გაძლიერების საკითხებში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, როგორც უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აქტიურად მონაწილეობს

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიზანია თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, აჭარის რეგიონში დისკრიმინაციის გამოვლენის და აღმოფხვრის, ქალთა გაძლიერების, ქალთა მონაწილეობითი პოლიტიკის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი და მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ამოცანებს როგორიცაა:

- გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა და გაძლიერება;
- გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის შემუშავება;
- გენდერული ბიუჯეტის ფორმირება;
- ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილებების მიღების დონეზე;
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერება (მცირე გრანტების გაცემის გზით);
- განათლების და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა.

გაიმართა შეხვედრები, სადაც საუბარი შეეხო სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლების მხრიდან ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენის ფაქტებზე, ნაადრევი ქორწინების სტატისტიკას და არსებული პრობლემის გადაჭრის გზებს, თავშესაფრებსა და კრიზისული ცენტრების საქმიანობასა და მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს.

კომიტეტის თავმჯდომარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაესწრო ქალთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით გამართულ არაერთ შეხვედრა დისკუსიას.

ქალთა მიმართ ძალადობა

როგორც ქვეყანაში ასევე რეგიონში დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობა. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი ყოველწლიურად უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან კამპანიას, რომელიც 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით იმართება.

ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ამ მიმართულებით, რაც განპირობებულია კოორდინირებული მიდგომით და მიზანმიმართული პოლიტიკით. გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ძალადობის პრევენცია, ისევე როგორც მსხვერპლთა დაცვა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევა.

ევროკომისიის 2023 წლის საბოლოო ანგარიშში დადებითად არის შეფასებული გენდერულ ძალადობაზე ინსტიტუციების მიერ რეაგირება და ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოს პასუხი ძალადობაზე არის ქმედითი და მკაფიოდ განსაზღვრული. ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვანია ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიების ჩატარება სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით.

სახელმწიფო ახორციელებს პროგრამებს და აქტივობებს, რომელიც მიმართულია ბავშვების, მასწავლებლების, ახალგაზრდებისა და საზოგადოების განათლებაზე (სასამართლო, პოლიცია, პრაქტიკოსი ადვოკატები, განათლების სფეროს სპეციალისტები, სოციალური და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები). საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული მსგავსი კამპანიები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც დიდი ხანია გამოიყენება აქტიურად სტერეოტიპების დაძლევის მიზნით.

დღეს მედეას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე და სოციალური ნორმების და ღირებულებების ფორმირებაზე. მედიას სხვადასხვა გზით შეუძლია გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობა და ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

კომიტეტი სახელმწიფო უწყებებისა თუ პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით გააძლიერებს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ღონისძიებების განხორციელებას.

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი

საანგარიშო პერიოდი განსაკუთრებულად გამოირჩევა იმ დიდი წარმატებით, რაც ჩვენი ქვეყნის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით შეჯამდა გასული წლის დეკემბერში. საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ევროკავშირში გაწევრიანების პოლიტიკის პრიორიტეტული ამოცანა და წევრ ქვეყნებთან საქართველოს თანამშრომლობის დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. კანდიდატის სტატუსის მინიჭებით საქართველო ევროკავშირთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადავიდა, რასაც წარმატებით განაგრძობს ინტეგრაციის პროცესის დასრულებამდე.

შეხვედრა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ 2023 წლის კომიტეტის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებათა ფარგლებში საჯარო ლექცია წაიკითხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ლექცია მიეძღვნა ადამიანის უფლებებს, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგად მიმოხილვას, დანაშაულის პრევენციასა და რესოციალიზაციას, შეფარდებული სასჯელის თანაზომიერებას და მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებს.

შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა უმაღლეს საბჭოში, რომელთაც გაესაუბრა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საერთაშორისო და ჩვენს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობაზე, ისაუბრეს ისტორიულ პროცესებსა და ქვეყანაში ამჟამინდელ მოვლენებზე, რომლებიც წინ უძღოდა ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესებას, დღეს არსებულ საკანონმდებლო აქტების ფორმირებასა და მათ რეალიზებას.

მოხსენების შემდგომ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მოსწავლეებმა დასვეს მათთვის საინტერესო კითხვები და დააფიქსირეს მოსაზრებები ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით. დაათვალიერეს უმაღლესი საბჭოს შენობა, გაეცნენ მის სტრუქტურას და საკანონმდებლო საქმიანობის მუშაობის პრინციპებს.

კომიტეტის თავმჯდომარის მიერ ცნობიერების ამაღლების მიზნით მსგავსი ხასიათის შეხვედრები ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე პერიოდულად გაიმართა საანგარიშო წლის განმავლობაში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან და საჯარო/კერძო სკოლების მოსწავლეებთან.

შეხვედრები სამაჟორიტარო ბიუროში

კომიტეტის თავმჯდომარე, როგორც ქობულეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი პერიოდულ შეხვედრებს მართავს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ ბიუროში. ბიუროს წარმომადგენელთან ერთად ეცნობა მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ინფრასტრუქტურულ საკითხებს. მოქალაქეები განცხადებით მიმართავენ ბიუროს სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტის მიზნით. კომიტეტის

თავმჯდომარე შეხვედრებს მართავს მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებთან, მათ წინაშე არსებული საკითხების მოგვარების მიზნით. ბიუროს მეშვეობით ხდება მყისიერი რეაგირება მოქალაქეთა მოთხოვნების დარეგულირების მიზნით. პერიოდული შეხვედრები ეწყობა მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებთან და საჭიროების შემთხვევაში განცხადებები იგზავნება პასუხისმგებელ პირებთან საკითხების გაცნობა/გადაწყვეტის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის თავმჯდომარე, წევრები და აპარატის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა შეხვედრებსა თუ ღონისძიებებში:

17.02.2023 - აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე და უმაღლესი საბჭოს წევრები ლიეტუვის სახელმწიფოს აღდგენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრნენ.

საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ, ლიეტუველ ხალხს, მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღი მიულოცა, ისაუბრა ორ მეგობარ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებზე, საერთო წარსულსა და მისწრაფებებზე.

ლიეტუვის სახელმწიფოს აღდგენის დღე ბათუმში პირველად აღინიშნა. გაჟღერდა საქართველოსა და ლიეტუვას სახელმწიფო ჰიმნები, აქვე გაიმართა ორი ქვეყნის ურთიერთობისა და მეგობრობის ამსახველი გამოფენა.

23.02.2023 - აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე და აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სალონურ ლიტერატურულ საღამოს - „რანდე-ვუ წიგნების მაღაზიაში“, დაესწრნენ.

საღამოს ფარგლებში ორგანიზებული სალონური საუბრების, წიგნის - "ორიენტირების ძებნაში" (ავტორი თემურ ჭკუასელი) პრეზენტაციისა და პოეზიის თეატრალური კომპოზიციის მიზანი ურბანული ძეგლის პოპულარიზაცია იყო.

27.03.2023 - აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 145 წლისთავი აღინიშნა ქობულეთში. საზოგადოება ,,ჩვენი ქობულეთის“, მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის, ქობულეთის მუზეუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით. ღონისძიებას აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე ესწრებოდა.

28.03.2023 - ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) დელეგაციის ვიზიტი აჭარაში, პრეზიდენტ დოქტორ ფრანც შაუსბერგერის მეთაურობით. აჭარის წარმომადგენლობითი დელეგაცია მონაწილეობდა IRE-ს გენერალურ ასამბლეაში, სადაც გაიმართა ჩვენი რეგიონის პრეზენტაცია და რამდენიმე დღის განმავლობაში ზალცბურგის მცხოვრებლები, ქალაქის სტუმრები, საინფორმაციო რგოლების მეშვეობით, ეცნობოდნენ საქართველოს. შეხვედრაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ცოტნე ანანიძე და აპარატის უფროსი - ზურაბ ჭურკვეიძე ესწრებოდნენ, ყურადღება გამახვილდა სამომავლო თანამშრომლობის საკითხებსა და პერსპექტივებზე. ევროპის რეგიონთა ინსტიტუტთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თანამშრომლობა 10 წელზე მეტს ითვლის

3.05.2023 - ბსუ-სა და მოხალისეთა ორგანიზაცია - "ვემსახურები საქართველოს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

მემორანდუმი უნივერსიტეტში დასაქმებულებისა და სტუდენტების თავდაცვითი მიმართულებით სწავლებებში ჩართვას ითვალისწინებს.

„აჭარის უმაღლესი საბჭო მიესალმება სამოქალაქო თავდაცვის გაძლიერების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს და მხარს უჭერს ამ მიმართულებით ახალგაზრდების ინიციატივებს", - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ტიტე არაშიძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ) გამართულ შეხვედრაზე.

შეხვედრას აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ცოტნე ანანიძე და დავით ბაციკაძე ესწრებოდნენ.

5.05.2023 - აჭარის ა.რ. უმაღლეს საბჭოში სახალხო დამცველის წარმომადგენლობის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, შეხვედრაზე თანასწორობის და დისკრიმინაციის საკითხებზე ისაუბრეს. შეხვედრას აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

6.06.2023 - აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ცოტნე ანანიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს შეხვდა.

უმაღლესი საბჭოს საქმიანობის, კანონშემოქმედების ძირითადი პრინციპების, სტრუქტურის გაცნობის შემდეგ, ცოტნე ანანიძემ ახალგაზრდებთან კომიტეტის

საქმიანობაზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან კანონმდებლების ურთიერთობის სპეციფიკაზე, ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციის, შშმ პირთა უფლებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ისაუბრა.

შეხვედრაზე, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, ყურადღება გამახვილდა პენიტენციურ სისტემაში განხორციელებულ რეფორმაზე, საკანონმდებლო ცვლილებებზე, ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილებაზე, სახალხო დამცველის, ასევე, სხვა ინსტიტუტების ჩართულობის მექანიზმებსა და ბერკეტებზე.

24-25.07.2023 – კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათშორისი საკოორდინაციო კომისიის განახლება. დამტკიცდა ახალი სამოქმედო გეგმა. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა უწყებებთან. აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის შეჯამება.

29.07.2023 - აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ცოტნე ანანიძე და ილია ვერძაძე, ბათუმის ბულვარში, იაპონური კულტურის ფესტივალს დაესწრნენ.

ღონისძიების მიზანი, უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ორ ქვეყანას - საქართველოსა და იაპონიას შორის, კულტურული ურთიერთობების გაღრმავება და ერთობლივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა იყო.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი ფესტივალის ფარგლებში, გაიმართა კულტურული და სპორტული აქტივობები.

24.08.2023 – აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებმა - ცოტნე ანანიძემ და ილია ვერძაძემ " მშვიდობის, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის" საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს ნიდერლანდების სამეფოდან – სესილია ჯოანა ვან პესკის უმასპინძლეს. საინფორმაციო-გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, რომელიც უმაღლესი საბჭოს ახალი ვებპლატფორმა – chaerte.sca.ge-ის მეშვეობით ჩაინიშნა, ყურადღება გამახვილდა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე, საკანონმდებლო მექანიზმებსა და საერთაშორისო კონვენციებზე, ასევე ამ მიმართულებით რეგიონში მიმდინარე საქმიანობასა და სიახლეებზე. სტუმარი, რომელიც ბათუმში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვევით იმყოფებოდა, უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრში საკანონმდებლო

ორგანოს ადმინისტრაციული შენობის ისტორიას, კანონშემოქმედებითი საქმიანობის პრინციპებს, უფლებამოსილებებს, ჩართულობის ცენტრისა და ონლაინპლატფორმა - chaerte.sca.ge-ის სერვისებს გაეცნო.

1.09.2023 – ბათუმში, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიება, რომელიც პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ - ზაზა ლომინაძემ გახსნა, საქართველოს პარლამენტის მიერ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და დიდი ბრიტანეთის „UK aid-ის“ ხელშეწყობით დაწყებულ თემატურ მოკვლევას - „საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და არსებული გამოწვევები“ დაეთმო.

ღონისძიებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს წევრები, დარგობრივი კომიტეტის აპარატის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ბათუმის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის, შესაბამისი უწყებებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მოქმედი ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

11.10.2023 – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში თურქეთის რესპუბლიკის მთავარ ომბუდსმენს – შერეფ მალქოჩს, თანმხლებ დელეგაციასთან ერთად უმასპინძლეს. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, ორ ქვეყანას შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებასა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ – დავით გაბაიძემ ყურადღება გაამახვილა, ბოლო წლებში, საქართველოს ხელისუფლების მიერ, ადამიანის უფლებების, მათ შორის, ქალთა და ბავშვთა დაცვის მიმართულებით გატარებულ რეფორმებსა და მიღწევებზე. შეხვედრაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეები - ცოტნე ანანიძე და ლადო მგალობლიშვილი ესწრებოდნენ, მხარეები სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებაზე შეთანხმდნენ. შერეფ მალქოჩმა, საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეს და საბჭოს წევრებს, მადლობა გადაუხადა მასპინძლობისათვის და აღნიშნა, რომ საქართველოს გამოცდილების გაზიარება თურქული მხარისთვის მნიშვნელოვანია. უმაღლეს საბჭოში გამართულ შეხვედრას თურქეთის სახალხო დამცველის მოადგილე ჯალილე ოზლემ თუნჩაქი, სასამართლო ხელისუფლების

წარმომადგენლები, ექსპერტები, ბავშვთა დაცვის მონიტორინგის სპეციალისტები (UNICEF-ის წარმომადგენლები) და თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ქალაქ ბათუმში – რიზა ქააღან ილმაზი ესწრებოდნენ.

11.10.2023 - აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, უმაღლესი საბჭოს წევრები - ცოტნე ანანიძე და ილია ვერძაძე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, აკადემიური წლის, პირველი „სკოლა-ბიზნესის ფორუმის“ გახსნას დაესწრნენ.

18.10.2023 - აჭარის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ღონისძიება აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ - ფატი ხალვაშმა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდ (IFES) საქართველოს, გენდერისა და ინკლუზიის მენეჯერმა - მირანდა ტყაბლაძემ გახსნეს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა და რეგიონის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის დებულება შეხვედრაზე ფატი ხალვაშმა წარმოადგინა.

ღონისძიებაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს წევრები - ცოტნე ანანიძე, მარინე გვიანიძე, ილია ვერძაძე, დავით თედორაძე და გენდერის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარედ ფატი ხალვაში აირჩიეს, კომისიის წევრი უწყებების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კომისიის დებულებას, შეიმუშავეს და განიხილეს სამოქმედო გეგმა.

26.10.2023 - დაბა ჩაქვში, ციტრუსის ლოჯისტიკის, რეალიზაციის ხელშეწყობისა და სუბსიდირების უზრუნველყოფის მიზნით, საკოორდინაციო შტაბი ამოქმედდა. აჭარის მთავრობის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით ამოქმედებული საკოორდინაციო შტაბი მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრთან, ზაზა შავაძესთან ერთად გახსნა. ღონისძიებას აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ტიტე არუშიძე, ცოტნე ანანიძე და ფრიდონ ფუტკარაძე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

15.11.2023 – აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, თავმჯდომარის მოადგილე - ტიტე არუშიძე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეები - ცოტნე ანანიძე და დავით ბაციკაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტის - „ვიზიტების“ მონაწილე სტუდენტებს, „რუსთაველის“ კლუბის წევრებს შეხვდნენ. ცოტნე ანანიძემ ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების კუთხით განხორციელებულ ცვლილებებსა და არსებულ გამოწვევებზე. მისი თქმით, ევროპული კულტურა მთლიანად დაფუძნებულია ადამიანის ღირებულებებზე, რომელთაც სრულად იზიარებს საქართველო – ეს მკაფიოდაა ასახული საქართველოს კონსტიტუციაში და გამოხატულია ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის რატიფიცირებით. შეხვედრაზე ისაუბრეს ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეულ შედეგებზე, არსებულ გამოწვევებსა და ევროპულ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად ქვეყნის სამოქმედო გეგმაზე.

7.12.2023 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე უმაღლეს საბჭოში ექსკურსიის ფარგლებში ბათუმის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა. შეხვედრაზე ,,მე ვაღიარებ ქალთა უფლებებს“ საკითხებზე ისაუბრეს.

13-14.12.2023 - აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ცოტნე ანანიძე და ილია ვერძაძე, 13-14 დეკემბერს, ესპანეთის დედაქალაქში, მადრიდში, ევროპის რეგიონულ ფორუმში - „ხელმისაწვდომი ევროპა: ICT 4 ALL“- ში მონაწილეობდნენ.

ესპანეთის სამეფოს მთავრობის მხარდაჭერით გამართული ფორუმის მიზანი რეგიონული ქსელების გაძლიერება და გამოცდილების ურთიერთგაზიარება იყო. ღონისძიება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ყოველწლიურად იმართება.

„ფორუმი, როგორც წესი, აერთიანებს კანონმდებლებს, სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, აკადემიური წრეების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს ხელმისაწვდომობის, ინკლუზიური ციფრული საზოგადოების, ეკონომიკური გარემოს გაძლიერების, ასევე ევროპის რეგიონებში მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული გამოწვევების განსაზღვრის მიზნით“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ცოტნე ანანიძემ.

ღონისძიება, რომელსაც „Fundación ONCE“ მასპინძლობდა, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირისა (ITU) და ევროკომისიის (EC) მიერ იყო ორგანიზებული.

კომიტეტის კომუნიკაცია და საჯაროობა

კომიტეტი თანამშრომლობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან, სამინისტროებთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ისე სახალხო დამცველის აპარატთან. ურთიერთთანამშრომლობის მიზანია არსებული პრობლემების შესწავლა, ანალიზი და მათზე შესაბამისი რეაგირების გზების დასახვა.

კომიტეტი უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის. კომიტეტს პრიორიტეტად მიაჩნია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, როგორც უმაღლესი საბჭოს როლის და მის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ, ასევე ინფორმირება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის ინსტიტუციურ მნიშვნელობაზე, რომელიც მიმართულია სხვადასხვა სფეროში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. კომიტეტი პერიოდულად აწარმოებდა და კვლავაც გააგრძელებს საინფორმაციო ხასიათის კამპანიებს ადამიანის უფლებების მიმართულებით სხვადასხვა აქტუალურ თემებზე.

კომიტეტი მომავალშიც უზრუნველყოფს ფართო საზოგადოების მონაწილეობას საკუთარ საქმიანობაში და რეგულარულად წარუდგენს საზოგადოებას ინფორმაციას კომიტეტის მიერ გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა თუ შესრულებული ცალკეული ღონისძიებების შესახებ.

კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობას მედიის წარმომადგენლებთან. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომიტეტის თავმჯდომარეს და წევრებს მონაწილეობა აქვთ მიღებული პირდაპირ ჩართვებში და სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში, გაკეთებული აქვთ სხვადასხვა საკითხებზე კომენტარები და შეფასებები რადიოთი თუ ბეჭდური მედიის საშუალებით.

სტაჟირება

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტში საანგარიშო წლის განმავლობაში უმაღლესი სასწავლებლების დამამთავრებელი კურსის სტუდენტებმა გაიარეს სტაჟირება. სტაჟირების პროცესში ისინი გაეცნენ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტს, სტრუქტურას, უფლებამოსილებასა და საკანონმდებლო პროცესს. შეისწავლეს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის და აპარატის დებულებები, გაეცნენ

კომიტეტის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს, მუშაობის პერიოდში ინიციირებულ კანონპროექტებს, მონაწილეობას იღებდნენ ინიციირებულ კანონპროექტებზე დასკვნების მომზადებაში. ესწრებოდნენ კომიტეტისა და უმაღლესი საბჭოს სხდომებს.

კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა გადამზადება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს აპარატში საანგარიშო პერიოდში პერიოდულად ხორციელდებოდა პროფესიული საჯარო მოხელეთა გადამზადების მიზნით სხვადასხვა სფეროების მიხედვით ტრენინგ/შეხვედრები და სემინარები. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ პროფესიული ცოდნის ამაღლებისა და შესაბამისი უნარების განვითარების მიზნით გამართულ შეხვედრებში. გადაეცათ შესაბამისი ტრენინგის გავლისა და ცოდნის შეძენის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

და ბოლოს, კომიტეტი მიესალმება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საჯაროობას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მის ლიდერ პოზიციაზე ყოფნას, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება მისი ღიაობისა და გამჭვირვალობის კუთხით წარმოებული ყოველწლიური კვლევებითა და მაჩვენებლებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა
დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე